სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 190

2018 წლის 7 დეკემბერი

ქ. თბილისი

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის გამოცხადების შესახებ" - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პრაგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 7 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1569034) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას პროექტების ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დანართი
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 7 დეკემბრის N190 ბრძანებით

მაგისტრანტთა სასწავლო - კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2018 წლის
კონკურსის მოხსნილი პროექტები

N	**პროექტის შიფრი**	**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**	**პროექტის სათაური**	**კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა**
1	MR-18-1577	საქართველოს უნივერსიტეტი	საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელების გამოწვევების კვლევა შიდა აუდიტსა და ფინანსურ კონტროლში	მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების მე- 6 მუხლის პირველ პუნქტთან: მაგისტრატურის აკრედიტებულ პროგრამაზე სწავლის შესახებ ცნობიდან ვერ დგინდება მაგისტრანტი არის თუ არა დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა სემესტრის მაგისტრანტი.
2	MR-18-2945	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამეგრელოს რეგიონში გავრცელებული წითელი საღვინე ჯიშების კოლოშის და მაჭყვადინას შესწავლა	მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან: არ არის წარმოდგენილი კონსულტანტის დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი მეცნიერის პროფილში (წარმოდგენილია მხოლოდ მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი).
3	MR-18-648	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ვეჯინის ამაღლების ტაძრის კედლის მხატვრობა	მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტთან: არ არის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი მეცნიერის პროფილში.
4	MR-18-699	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების სტანდარტირებული ციფრული გამოცემა	მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან: არ არის წარმოდგენილი კონსულტანტის დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი მეცნიერის პროფილში.